

1975/2
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უელლესი ს ა ბჭო ს უ რე ე ზ ე ზ ი

№ 2 (409)

1975 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უელლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 2 (409)

თებერვალი

1975 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანუოფილიზა პირველი

27. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქარგლის რაიონის სახალხო მოსამართლის ქ. ა. სუხიშვილის გაწვევის შესახებ.
28. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ასრესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩასატარებლად კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
29. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ასრესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობაში დამატებითი წევრების შეყვანის შესახებ.
30. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნებისათვის მზადების შესახებ.
31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.
33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
34. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზესტაფონის მშრომელთა დემუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ბანუოფილიზა მეორე

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ
36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განყოფილება პირველი

დადგენილება საპარტიელოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიისა

27 ქარელის რაიონის სახალხო მოსამართლის ძ. ა. სუხიშვილის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები ქარელის რაიონის სახალხო მოსამართლის ქ. ა. სუხიშვილის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს კენჭისყრა ქარელის რაიონის სახალხო მოსამართლის ქრისტე-ფორე აკაკის ძე სუხიშვილის გაწვევის შესახებ 1975 წლის 17 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1975 წლის 13 თებერვალი.

დადგენილება საპარტიელოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიისა

28 საპარტიელოს სს რესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩასატარებლად კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩასატარებლად დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გ. ს. ძოწენიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსადგენიები: ვ. მ. სირაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

ო. ე. ჩერქეზია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

გ. გ. აბაშიძე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ი. ბ. აბაშიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ფ. ა. ანანიაშვილი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

- ვ. ი. ანჯაფარიძე — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.
- ე. დ. ახვლედიანი — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.
- მ. გ. ბარათაშვილი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი.
- ლ. დ. ბოლქვაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, ავტონომიურ რესპუბლიკის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.
- გ. ვ. ბედინიშვილი — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
- ბ. შ. ვასაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა შორის ქუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.
- ბ. ტ. გაფრინდაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მსოფლიოს ჩემპიონი ჯადრაკში.
- კ. კ. გარდაფხაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
- დ. ვ. გოგობია — რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნას“ თავმჯდომარის მოადგილე.
- თ. პ. გოთუა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე.
- ე. ნ. გუგუშვილი — მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი.
- ბ. ვ. გურგენიძე — საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.
- მ. შ. დავითაშვილი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.
- თ. ა. დავლაშვილი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა.
- ა. ა. დვალისვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
- თ. გ. დონუაშვილი — მწერალი.
- ე. ი. დუღინკო — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.
- თ. გ. ზარგინავა — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.
- ი. შ. ზედგინიძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.
- ო. ვ. თაქთაქიშვილი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.
- ზ. ა. კვაჭაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.
- ბ. ი. კიკვაძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე.
- თ. ა. კოლონია — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი.

- რ. ხ. კონცელიძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი
- თ. ვ. ლაშქარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.
- ბ. თ. ლობჯანიძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
- მ. დ. მეგლაძე — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.
- მ. ა. მეგრელიშვილი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.
- ი. ე. ნონეშვილი — მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პოეტი.
- ვ. ი. პისარევა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა.
- ბ. ა. ჟვანია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ქალთა თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
- ც. ვ. ხანოძე — ქუთაისის ბამბეულის საქსოვი საწარმოო გაერთიანების დირექტორი.
- ე. ა. სხვიაშვილი — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების გამგე.
- ვ. ა. სობოლვეი — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.
- ნ. ნ. როინიშვილი — მაღალი ენერჯების ფიზიკის შედეგების დამუშავების ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.
- მ. ნ. ფაჩუაშვილი — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი.
- თ. კ. ქუთათელაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
- თ. შ. ქაბულავა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
- შ. ვ. ყარყარაშვილი — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.
- ლ. პ. შეწირული — თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი.
- ვ. დ. შუბლაძე — საქართველოს სსრ ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე.
- ნ. გ. ჩერქეზიშვილი — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე.
- ე. დ. ჩოფიაშვილი — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.
- ტ. ნ. ჩხაიძე — სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე.
- ო. ს. ცანავა — რესპუბლიკის საზოგადოება „წითელი ჯვრის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

თ. ვ. წერეთელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე.

ვ. ი. ჭიაურელი — საქინფორმის დირექტორი.

ნ. ა. ჯავახიშვილი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა ქალების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. შ. ჯანზერიძე — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

რ. ა. ჯაფარიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

გ. ნ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

ნ. მ. ჯიბუტი — პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძეძე.

თბილისი, 1975 წლის 4 თებერვალი.

დადგინილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კონკრეტული ღონისძიების შემადგენლობაში დამატებითი წევრების შემყვანის შესახებ

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ბ. ნ. გრიგალაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ე. დ. კომახიძე — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე.

მ. ა. მეზვრიშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.

რ. მ. სარიშვილი — საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ა. პ. საყვარელიძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძეძე.

თბილისი, 1975 წლის 19 თებერვალი.

დადგენილება საჭართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

30 საჭართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ადგილობრივი საბჭოების მოტივი არჩევნებისათვის მზადების შესახებ

იმისთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და მზრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1975 წლის ივნისში და მოტივი არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დევალს საქართველოს სსრ მზრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გაშალონ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი და მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია გამოიყენონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მეცხრე ხუთწლიდის მეხუთე დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად;

ბ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად ჩატარონ მოხსენებები, ლექციები, მოაწყონ საუბრები, კონსულტაციები საბჭოთა საარჩევნო სისტემის და სოციალისტური დემოკრატიის ძირითადი პრინციპების შესახებ, საბჭოთა კანონების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე;

გ) მიიღონ ზომები იმისათვის, რომ არჩევნების კამპანიის დაწყებამდე მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ყველა დეპუტატმა ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს;

დ) აღმასკომებმა, რომელთაც გასულ წელს თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიში არ ჩაუბარებიათ მოსახლეობისა და შესაბამისი საბჭოებისათვის, უახლოეს დროში უზრუნველყონ ანგარიშების ჩაბარება.

2. დევალს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სათანადო დახმარება აღმოუჩინონ მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს სსრ უმაღლესი და მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

3. დევალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს აწლის 1 აპრილამდე გამოსცეს საქართველოს სსრ კონსტიტუცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მზრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებები, არჩევნებთან დაკავშირებული სათანადო ლიტერატურა, პლაკატები, დიაგრამები და თვალსაჩინოების სხვა საშუალებანი.



4. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, განაგრძონ ნო კამპანიის დაწყებამდე შეხვდნენ ამომრჩეველებს და ანგარიში ჩააბარონ თავიანთი მუშაობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს მიმდინარე წლის მარტის მეორე ნახევარში.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ თვალყური ადევნოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო ნოტარიატის საქმიანობას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კანონს.

2. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნული არიან 1975 წლის 1 აპრილამდე.

3. „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება ფულისა და ფასიანი ქაღალდების იმ პირისათვის დაბრუნების შესახებ, რომელმაც ისინი შეიტანა დეპოზიტში (დეპოზიტორისათვის), ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ფული და ფასიანი ქაღალდები მიღებულია სახელმწიფო სანოტარო კანტორის დეპოზიტში 1975 წლის 1 აპრილამდე.

4. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული „ღებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 6, მუხ. 353; 1973 წლის № 4, მუხ. 53).

5. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1975 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულება საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 საპარტვილოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. კოდექსს დემატოს შემდეგი შინაარსის 304¹ მუხლი:

„მუხლი 304¹. დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის წესი

განაჩენის დადგენისას სასამართლო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად წყვეტს იმ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების საკითხს, რომელთა ჯანმრთელობა დაზიანდა დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად.

თუ აღნიშნული სახსრების გადახდევინების შესახებ სამოქალაქო სარჩელი არ ყოფილა წარდგენილი, სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის დადგენის დროს საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს აღნიშნული სახსრების გადახდევინების საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს არ მიუღია გადაწყვეტილება ამ სახსრების გადახდევინების შესახებ, მათი გადახდევინება ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

2. კოდექსის 320-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. გადაწყვეტილებას დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ცნობილი იქნეს შესაბამისად მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლში დამატების შეთანხმების შესახებ

„დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სახსრები, რომლებიც დაიხარჯა იმ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისათვის, რომელნიც დაზარალდნენ განზრახი დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად (იმ შემთხვევების გარდა, როცა დამნაშავე ზიანს მიაყენებს დაზარალებულს იმის გამო, რონ მან გადააქარბა აუცილებელი თავდაცვის ფარგლებს ან დაზარალებულის არამართლზომიერმა მოქმედებამ უეცრად გამოიწვია დამნაშავეის ძლიერი სულიერი მღელვარება) სახელმწიფო შემოსავალში გადახდებთან იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან ამ დანაშაულისათვის. აღნიშნული სახსრების ოდენობა გამოიანგარიშება განაკვეთებით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

34 ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც მოისმინა ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან. ზ. ა. ფერაძის მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე კანონებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების შესახებ, ადგილობრივმა საბჭოებმა გარდაქმნეს და მნიშვნელოვნად გააძლიერეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რომელმაც განაპირობა გასული წლის გეგმების წარმატებით შესრულება მეურნეობის ბევრ დარგში.

სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში ახლა უფრო მეტად მონაწილეობენ საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით დაამთავრეს 1974 წელი და მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მიერ გასულ წელს აღებული ვალდებულებების შესრულების შედეგად რაიონი გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

1973 წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია სოფლის მეურნეობაში. გადაჭარბებით შესრულდა ვენახის, ხეხილის ბაღების გაშენების, პირუტყვის სულადობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებანი. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულდა 207 პროცენტით.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეაბრეშუმეობაში, ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში.

საბჭოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მიწათსარგებლობის მოწესრიგებისათვის. გასულ წელს კოლმეურნეობებს შეემატა 43,53 ჰექტარი მიწა, რომელიც უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული ინდივიდუალურ მფლობელებს.

რაიონში გაუმჯობესდა საწარმოო დანიშნულების ნაგებობათა, სკოლების, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, გზებისა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის საქმე.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 101,5 პროცენტით შესრულდა, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და შეკეთების გეგმა — 103,4 პროცენტით. გაყვანილ იქნა წყალსადენის მაგისტრალი და ბუნებრივი გაზსადენის ქსელი. გაფართოვდა სკოლების მატერიალური ბაზა. კერძოდ, რაიონის 48 სკოლიდან 17-ს ახალი შენობა აქვს, ბევრს მიუშენდა საკლასო ოთახები.



გაუმჯობესდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კეთილმოეწყო კვალითის, ალავერდის, ზედა საქარის, საზანოს კლუბები და ბიბლიოთეკები.

ახალ ბინებში გადავიდა ქვედა საქარის, ზედა საქარის და კლდეეთის საექიმო ამბულატორიები.

მეტი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას. გაიხსნა ქალის ტანსაცმლის შესაკერი სახელოსნო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი (სოფელ მეორე სვირში), აბანო (სოფელ კვალითში) და ა. შ.

უკეთესადაა მოსახლეობის კინომომსახურების საქმე. კინოშემოსავლების გეგმა შესრულებულია 113,7 პროცენტით.

აღმასკომი დიდ მზრუნველობას იჩენდა სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი. სამამულო ომის 7 ინვალიდს უფასოდ მიეცა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“, სამკურნალოდ გაიგზავნა 30 კაცი. 66 ინვალიდსა და სამამულო ომში დაღუპულთა 36 ოჯახის წევრს მიეცა ფულადი დახმარებულქანასკნელი 3 წლის მანძილზე სამამულო ომის 12 ინვალიდა და ომში დაღუპულ მეომართა 52 ოჯახი დაკმაყოფილდა ბინით.

სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილებოდა რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადებაშიც ფართო მონაწილეობას იღებდნენ დეპუტატები და აქტივი.

რაიონის ოცივე საბჭოს აღმასკომმა ანგარიში ჩააბარა სესიას და მოსახლეობას, ყველა განყოფილებაში და სამმართველოში — მოსახლეობას, ყველა დეპუტატმა კი — ამომრჩეველებს.

აღმასკომების მუშაობის ყურადღების ცენტრში იყო ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საკითხი. საბჭოების მიერ მიღებული 1.289 განაწესიდან განხორციელებულია 1.083.

გაძლიერდა კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. 1974 წელს რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოისმინა 15 გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობის საკითხი.

საბჭოები ფართოდ გამოეხმადურნენ ყვარლის რაიონის გავაზის და სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოების დეპუტატთა ინიციატივას. ვენახების მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ დაირგო 152 ათასი ძირი ვაზი და ათვისებულ იქნა 216 ჰექტარი გამოუყენებელი მიწა.

ყურადღება ექცეოდა მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის და მათზე რეაგირების საქმეს. მათი უმრავლესობა განხილული და დაკმაყოფილებულია კანონით დადგენილ ვადებში.

ამასთან, ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საბჭოების წინაშე აყენებენ კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა



დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებანი.

ზოგიერთი საბჭო ღრმად არ სწვდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი სათანადოდ არ არიან მობილიზებული, სუსტია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოებმა მიაღწიეს წარმატებებს, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტმა“ ჯერ კიდევ თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას. აქ 1974 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 75 პროცენტით შესრულდა, ხოლო რეალიზაციისა — 77 პროცენტით.

ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის დარგში. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მაქსიმალურად არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების რეზერვები და საშუალებანი, სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა, საჭირო ყურადღება არ ექცევა აგროტექნიკური და ზოოვეტერინარული წესების დაცვას. ყოველივე ამის შედეგად რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე, მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება (წიფლაგაკის, ძირულის, კვალთის, დილიკაურის, ზედა საქარას, ცხრაწყაროს, ალავერდის, კლდეეთის კოლმეურნეობები).

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია რაიონის მეურნეობის წამყვანი დარგის — საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარების საქმეში. ვასულ წელს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა 94,0 პროცენტით შესრულდა. 16 კოლმეურნეობიდან გეგმა არ შეუსრულებია 12-ს (სოფ. მეორე სვირის სტალინის სახელობის, კვალთის, ცხრაწყაროს, ილმის კოლმეურნეობები და სხვ.). კოლმეურნეობებში კვლავ დიდია ვაზის მეჩხერიანობა (22 პროცენტი).

რაიონს არ შეუსრულებია ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობის გეგმები, ხოლო მეცხოველეობის დარგში ზარალმა 359 ათასი მანეთი შეადგინა.

ვასულ წელს რაიონში 289 კოლმეურნეს (კოლმეურნეობის წევრთა საერთო რაოდენობის 4,2 პროცენტი) არ შეუსრულებია სავალდებულო კაცდღის მინიმუმი, ზოგ კოლმეურნეობაში კი ეს პროცენტი გაცილებით დიდია. მაგალითად, სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობაში იგი 24 პროცენტს, ხოლო წიფლაგაკის კოლმეურნეობაში — 15,7 პროცენტს შეადგენს.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელბრუნვის 1974 წლის გეგმეზ ვერ შეასრულეს (97 პროცენტი). 142 სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან გეგმა ვერ შეასრულა 91 ობიექტმა. ასევე ვერ შეასრულა გეგმა ზესტაფონის რაიკოოპერატივმა.

ამასთან ერთად ადგილი აქვს ვაჭრობის წესების სერიოზულ დარღვევებს.

უღდი მდგომარეობაა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც. 1974 წლის გეგმა რაიონში შესრულებულია 93,6 პროცენტით, მომსახურების



18 სახეობიდან გეგმა არ შესრულებულა 10 სახეობაში. სანახშირის საბჭო, რომელშიც შედის 5 სოფელი (2.858 მცხოვრები) საყოფაცხოვრებო მომსახურების გარეშეა.

ნაკლოვანებანია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმესა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში.

გაუმჯობესებას მოითხოვს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. რაიონს აკლია 40-ზე მეტი ექიმი. ვახშირდა ზოგიერთი ინფექციური დაავადება (დიზენტერია და სხვ.). 1973 წელთან შედარებით შემცირდა შობადობა და გაიზარდა 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1974 წელს ვერ შესრულდა რაიონის ბიუჯეტი, — სამემოსავლო ნაწილი შესრულებულია 99,6 პროცენტით, ხოლო საგასავლო ნაწილი — 96,2 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებელია რაიონის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაშიც. შინაგან საქმეთა განყოფილება და ადგილობრივი საბჭოები სათანადო მუშაობას არ ეწევიან მუქთახორების გამოვლენის, მათი სამუშაოზე მოწყობის და სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევს ქვემდგომი საბჭოების საქმიანობას. საბჭოების ორგანიზაციულ-მასიური მუშაობა არ არის დაკავშირებული რაიონის წინაშე მდგარ ამოცანებთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავის საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების დადგენილებებით, კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ. მუდმივი კომისიების დეპუტატების საქმიანობა წარმართოს ისე, რომ იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდეს მე-9 ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეისწავლოს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობა და გაატაროს ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მეტი დახმარება გაუწიოს მათ გეგმების შესრულების საქმეში;

ბ) რეზერვების გამონახვისა და სრულყოფილად გამოყენების გზით შიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ ამაღლებას საზოგადოებრივ სექტორში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვით უზრუნველყოს წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება;

გ) გააძლიეროს კონტროლი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციებისადმი მათ მიერ კანონმდებლობის დაცვის საქმეში. სისტემატურად შეამოწმოს წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის, ქალთა და მოზარდების შრომის შესახებ კანონების შესრულების მდგომარეობა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ. არსებითად გააუმჯობესოს მუშაობა მოსახლეობაში კანონების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების გაცნობისა და განხორციელების მიზნით და ამ მიმართულებით გაააქტიუროს საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობა.

ანაგისა და გავაზის სასოფლო საბჭოების მოწოდების შესაბამისად მიიღოს ზომები ვენახების მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ და აუთვისებელი მიწების სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩასაყენებლად;

დ) აამაღლოს დებუტატებისა და მუდმივი კომისიების აქტივობა ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში. მიაღწიოს იმას, რომ მუდმივი კომისიები და დებუტატები მეტ მომთხოვნელობას იჩენდნენ საბჭოებისა და მათი აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საბჭოთა კანონმდებლობის დაცვისათვის, რაზმავდნენ მოსახლეობას რაიონის წინაშე დაყენებული ამოცანების გადასაწყვეტად;

ე) სრულყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია; უზრუნველყოს საჯაროება საბჭოების, აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობაში. აამაღლოს ყველა საბჭოთა მუშაკის პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი;

ვ) დასახოს კომპლექსური ღონისძიებანი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

ზ) აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მიიღოს ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ლოთობას, მუქათხრობას, მექრთამეობას, პროტექციონიზმსა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, ასეთ დარღვევათა ყოველი ცალკეული შემთხვევა გამოიტანოს საზოგადოებრივ სამსჯავროზე. სოფლის ყრილობებზე, მოსახლეობის კრებებზე საკითხების განხილვით და სხვა ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოს წარსულის მავნე გადმონაშთების — ქელეხების, დიდი წვეულებების, რელიგიური დღესასწაულების აღმოფხვრა. ამასთან სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის საქმეში

უფრო ფართოდ ჩააბას საბჭოების მუდმივი კომისიები, დებუტატები, დობერივი ორგანიზაციები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეისწავლოს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის და ზოგიერთი ინფექციური დაავადების ზრდის მიზეზები. მიიღოს ზომები ზესტაფონის რაიონის ექიმთა კადრებით უზრუნველსაყოფად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებსა და ცეკავშირის გამგეობას მიიღონ ზომები ზესტაფონის რაიონის სავაჭრო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მატერიალური ბაზის გამტკიცებისათვის.

4. ზესტაფონის მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1975 წლის 21 თებერვალი.

განყოფილება მეორე

გრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 მედლით „წყალწაღებულია გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდეს მედლით „წყალწაღებულია გადარჩენისათვის“ ვლადიმერ (ოთარ) გრიგოლის ძე გავაშელი, ონის მრეწველობინატის ქვის კარიერის საწყობის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

